ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს სისტემის - ქ. თბილისის მერიის მიერ, გამოცხადებულ კონკურსში ყველა ვაკანტური თანამდებობის კონკურსანტისთვის სავალდებულო საკითხები ტესტური გამოცდისთვის

საქართველოს კონსტიტუცია

ტესტი N1. რომელი მსჯელობაა სწორი:

1.საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას არ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

4. არც ერთი პასუხი არაა სწორი.

ტესტი N 2. საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს:

1. საქართველოს პრეზიდენტი

2. საქართველოს პარლამენტი

3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

4. საქართველოს მთავრობა

ტესტი N 3. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს

1.საქართველოს პრემიერ- მინისტრს

2. საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

3.აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებს.

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი N 4. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს

1. დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

2. დადგენილებას, ბრძანებულებას და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

3. დადგენილებასა და ბრძანებულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. არც ერთი პასუხი არაა სწორი.

ტესტი 5. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

1. კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

2. საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

3. სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა ტერიტორიული წყლების, საჰაეროსივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 6 . საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზეშესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა:

1. რესპუბლიკის საბჭო და კონგრესი

2. რესპუბლიკის საბჭო და სენატი

3. რესპუბლიკის პალატა და სენატი

4. რესპუბლიკის კოლეგია და კონგრესი

ტესტი 7. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება:

1. მხოლოდ დაბადებით

2. მხოლოდ ნატურალიზაციით

3. ნატურალიზაციით და დაბადებით, მხოლოდ განსაკუთრებული პირობების არსებობისშემთხვევებში

4. დაბადებით და ნატურალიზაციით

ტესტი 8. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება:

1. ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით

2. ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ

3. ვიდრე მას პროკურატურა კანონით დადგენილი წესით არ წაუყენებს ბრალს;

4. ვიდრე მისი დამნაშავეობა არ იქნება დადასტურებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

ტესტი 9. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა:

1. დასაშვებია საომარი მდგომარეობის დროს

2. დასაშვებია საგანგებო მდგომარეობის დროს

3. დაუშვებელია

4. დაუშვებელია, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა უფლებებს

ტესტი 10. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო:

1. უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

2. არ არის უფლებამოსილი დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

3. მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არის უფლებამოსილიდააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკურისაქმიანობის შეზღუდვა

4. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

ტესტი 11. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რეფერენდუმში, სახელმწიფო დათვითმმართველობის ოგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს:

1. საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან

2. საქართველოს მოქალაქეს 17 წლის ასაკიდან, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუნარიანად

3. საქართველოს მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან

4. როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან.

ტესტი 12. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე

2. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა

3. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც აქვსწარმომადგენლობა

4. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება მისი იურისდიქცია

ტესტი 13. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ შესვლა შესაძლებელია:

1. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით

2. მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს

3. სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელიაუცილებლობის შემთხვევაში

4. მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შეზღუდვების შემთხვევაში

ტესტი 14. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს:

1. სახელმწიფო მინისტრი

2. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი

3. მთავრობის კანცელარიის უფროსი

4. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

ტესტი 15. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში სახელმწიფოხელისუფლება ხორციელდება:

1. ხელისუფლების გაერთიანების პრინციპზე დაყრდნობით

2. ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრინციპზე დაყრდნობით

3. ხელისუფლების გადაცემის პრინციპზე დაყრდნობით

4. ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით

ტესტი 16. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისდროს არჩევნები:

1. არ ტარდება

2. ტარდება პარლამენტის ნებართვით

3. ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით

4. ტარდება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით

ტესტი 17. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით

2. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადგინდებასაკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

3. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მას პროკურატურა კანონით დადგენილი წესით არ წაუყენებს ბრალს

4. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ იქნება დადასტურებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

ტესტი 18. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მთავრობის წევრს აქვსუფლება:

1. დააფუძნოს საწარმო

2. ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას

3. იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან

4. ეწეოდეს სამეცნიერო საქმიანობას

ტესტი 19. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია ხელმისაწვდომიოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულიაადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან?

1. თვით ამ ადამიანის თანხმობით, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა

2. როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

3. როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისდასაცავად

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 20. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება:

1.რეფერენდუმის შედეგად;

2.არჩევნების შედეგად;

3.მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 21. საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია:

1.1991 წლის 9 აპრილს;

2.1921 წლის 21 ივლისს

3.1995 წლის 24 აგვისტოს;

4.1991 წლის 31 მარტს.

ტესტი 22. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია:

1.1918 ქლის 25 თებერვლის მდგომარეობით;

2.1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით;

3.1920 წლის 9 მაისის მდგომარეობით;

4.1921 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით.

ტესტი 24. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება:

1.ორგანული კანონით;

2.კონსტიტუციური შეთანხმებით;

3.კანონით;

4.საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ტესტი 25. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია :

1.კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით;

2.სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით.

3. ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით.

4.ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 26. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ შეკრების უფლება აქვს:

1.ყველას;

2.ყველას, მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

3.ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში;

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 27. სახელმწიფო უფლებამოსილია თუ არა დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა?

1.არ არის უფლებამოსილი;

2.უფლებამოსილია;

3.უფლებამოსილია, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 28. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს:

1. სახალხო დამცველი;

2. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

3. სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები);

4. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ტესტი 29. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან:

1. პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე;

2. საქართველოს უზენაესი სასამასრთლოს თავმჯდომარის წინაშე;

3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის წინაშე;

4. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. P

ტესტი 30. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა შედგება:

1.პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორებისაგან;

2.მინისტრებისა და სახალხო დამცველისაგან;

3.პრემიერ-მინისტრისა მინისტრებისა და სახელმწიფო რწმუნებულებისაგან-გუბერნარტორებისაგან;

4.პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

ტესტი 1.ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საკრებულოს წევრის გაწვევის უფლება აქვს:

1.საკრებულოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს

2.მთავრობას

3.არანაკლებ 50000 ამომრჩეველს

4.საკრებულოს წევრის გაწვევა დაუშვებელია

ტესტი 2.ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს

1.საკრებულოს თვმჯდომარე;

2.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

3.გამგებელი (მერი);

4.საქართველოს მთავრობა.

ტესტი 3. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გამგებელი (მერი) ანგარიშს გამგეობის (მერიის) მიერ გაწეული მუშაობის შესახებ წარუდგენს:

1.საკრებულოს კომისიებს;

2.საქართველოს მთავრობას:

3.საკრებულოს ფრაქციებს;

4 საკრებულოს თავმჯდომარეს

ტესტი 4.ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად გამგებელი (მერი) წინადადებებს და სამართლებრივი აქტების პროექტებს თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით წარუდგენს:

1.საკრებულოს კომისიებს;

2.საკრებულოს თავმჯდომარეს

3.საქართველოს მთავრობას:

4.საკრებულოს ფრაქციებს

ტესტი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს

1.საკრებულოს თავმჯდომარე;

2.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

3.გამგებელი (მერი);

4.საქართველოს მთავრობა

ტესტი 6. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული ანგარიშვალდებულია;

1.საკრებულოს კომისიების წინაშე;

2.გამგებლის(მერის) წინაშე;

3.საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე;

4.სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის წინაშე

ტესტი 7. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს

1.საკრებულოს თავმჯდომარე;

2.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

3.გამგებელი (მერი);

4.საქართველოს მთავრობა

ტესტი 8. ვინ არის თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელი?

1.საკრებულოს თავმჯდომარე

2.გამგებელი (მერი)

3.საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად - გამგებელი ან საკრებულოს თავმჯდომარე

4.სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

ტესტი 9. რა ვადით ირჩევა საკრებულო?

1. 5 წლით

2. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ვადით

3. 4 წლით

4. ადგილობრივ არჩევნებს შორის არსებული ვადით, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

ტესტი 10. ვისი წინადადებით მოიწვევა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა?

1. საკრებულოს ბიუროს

2. საკრებულოს კომისიის

3. გამგებლის (მერის)

4.საკრებულოს თავმჯდომარის

ტესტი 11. საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება

1. როგორც წესი, ღია კენჭისყრით.

2. მხოლოდ ფარული კენჭისყრით

3. მხოლოდ ღია კენჭისყრით

4. როგორც წესი, ფარული კენჭისყრით

ტესტი 12. საკრებულოს ბიუროს წევრი არ არის

1. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

3. გამგებელი (მერი)

4. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე

ტესტი 13. საკრებულოს წევრის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე

1. საკრებულოს წევრს უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება

2.საკრებულოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო

3.საკრებულოს წევრისთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს აპარატის უფროსი

4.საკრებულოს წევრს უჩერდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება

ტესტი 14. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ?

1. საქართველოს პრეზიდენტი

2. საქართველოს მთავრობა

3. პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

4.საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე

ტესტი 15. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომელიც კანონით არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს?

1. არა, ვინაიდან თვითმმართველი ერთეულის უფლებემოსილებები ამომწურავადაა ჩამოთვლილი კანონში

2. დიახ, რადგან თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს

3. არა, ვინაიდან თვითმმართველი ერთეული გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხებზე, რომელიც პირდაპირაა მითითებული კანონში უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის

4. დიახ, რადგან თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას

ტესტი 16. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილება თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის, მათი საზღვრების დადგენისა და გაუქმების შესახებ:

1.არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს

2. შეიძლება გადაეცეს მხოლოდ გამგეობას

3. საკრებულოს შუამდგომლობითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით შეიძლება გადაეცეს გამგეობას

4. როგორც წესი, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს

ტესტი 17. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ არა საქართველოს მთავრობის წევრად დანიშვნის გამო?

1.დიახ, ვინაიდან საკრებულოს წევრს არ აქვს უფლება ეკავოს სხვა ნებისმიერი თანამდებობა

2.დიახ, ვინაიდან საკრებულოს წევრს არ აქვს უფლება ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ

3. არა, ვინაიდან საკრებულოს წევრისთვის კანონი არ ადგენს საქმიანობის შეზღუდვას

4. არა, ვინაიდან საქართველოს მთავრობის წევრი შეიძლება იმავდროულად იყოს საკრებულოს წევრი

ტესტი 18. საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

1. საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა 1/3-ით

2. საქართველოს მთავრობამ მიმართა პარლამენტს თვითმმართველი ერთეულის გაუქმების მოთხოვნით

3.დაუშვებელია საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

4.თვითმმართველი ერთეული გაუქმებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით

ტესტი 19. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილება თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის, მათი საზღვრების დადგენისა და გაუქმების შესახებ

1. შეიძლება გადაეცეს მხოლოდ გამგეობას

2. საკრებულოს შუამდგომლობითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით შეიძლებაგადაეცეს გამგეობას

3. არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს

4. როგორც წესი, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს

ტესტი 20. რომელი ორგანო (თანამდებობის პირი) არის უფლებამოსილი დანიშნოს ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა

1. საქართველოს პრეზიდენტი

2. ცენტრალური საარჩევნო კომისის თავმჯდომარე

3. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

4. შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ტესტი 21. საკრებულოს რამდენი წევრია საჭირო საკრებულოს ფრაქციის შესაქმნელად

1. არანაკლებ 3 წევრისა

2. არანაკლებ 5 წევრისა

3. რაოდენობაზე გადაწყვეტიელებას იღებს საკრებულოს ბიურო

4. რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ საკრებულოს რეგლამენტით

ტესტი 22. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს

1. გამგეობა

2. მერია

3. საკრებულოს აპარატი

4. კომისია

ტესტი 23. გამგეობის (მერიის) სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება

1. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გამგეობის (მერიის) დებულებით

2. საკრებულოს რეგლამენტით

3. საკრებულოს მიერ დამტკიცებული გამგეობის (მერიის) დებულებით

4. საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გამგეობის (მერიის) დებულებით ტესტი

ტესტი 24. ვინ არის თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელი?

1. გამგებელი (მერი)

2. საკრებულოს თავმჯდომარე

3.საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად - გამგებელი ან საკრებულოს თავმჯდომარე

4. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

ტესტი 25. რა ვადით ირჩევა საკრებულო?

1. 4 წლით

2. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ვადით

3. 5 წლით

4.ადგილობრივ არჩევნებს შორის არსებული ვადით, იმის გათვალისწინებით, რომადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

ტესტი 26. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს

1.საკრებულო;

2.მერია;

3.სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი;

4.საქართველოს პარლამენტი

ტესტი 27. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად თვითმმართველობა ხორციელდება

1.მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით

2.მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით

3.წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით

4.მხოლოდ ერთიანი საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით

ტესტი 28. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილება თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის, მათი საზღვრების დადგენისა და გაუქმების შესახებ:

1. შეიძლება გადაეცეს მხოლოდ გამგეობას

2. საკრებულოს შუამდგომლობითა და საქართველოს მთავრობის თანხმობით შეიძლება გადაეცეს გამგეობას

3. არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს

4. როგორც წესი, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს

ტესტი 29. ვინ არის თვითმმართველი ერთეულის და საკრებულოს ხელმძღვანელი?

1. გამგებელი (მერი)

2. საკრებულოს თავმჯდომარე

3. საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად - გამგებელი ან საკრებულოს თავმჯდომარე

4. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

ტესტი 30. ვინ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაცემის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელების შესახებ, კანონით დადგენილი წესით?

1.საქართველოს პარლამენტი

2.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

3.საქართველოს მთავრობის კანცელარია

4.თვითმმართველი ერთეული

ტესტი 31. ვის უფლებამოსილებას გენეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით?

1.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

2.საქართველოს მთავრობა

3.საქართველოს პარლამენტი

4. თვითმმართველი ერთეული

ტესტი 32. ვის უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღება?

1.საქართველოს მთავრობა

2.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

3.საქართველოს პარლამენტი

4.თვითმმართველი ერთეული

ტესტი 33. ვის უფლებამოსილებას განეკუთვნება გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება ?

1.საქართველოს მთავრობა

2. თვითმმართველი ერთეული

3.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

4.საქართველოს სახალხო დამცველი

ტესტი 34. ვის უფლებამოსილებას განეკუთვნება ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობისა და კანალიზაციის მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა?

1.თვითმმართველი ერთეული;

2.საქართველოს პარლამენტი;

3. საქართველოს მთავრობა;

4. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

ტესტი 35. ვის უფლებამოსილებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება?

1.საქართველოს მთავრობა;

2.საქართველოს პარლამენტი;

3. თვითმმართველი ერთეული;

4.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

ტესტი 36. ვის უფლებამოსილებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება ?1.საქართველოს პარლამენტი;2. თვითმმართველი ერთეული3.საქართველოს მთავრობა;4. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორიტესტი 37. ვის უფლებამოსილებას განეკუთვნება შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით?

1.სახალხო დამცველი;

2.საქართველოს პარლამენტი;

3.საქართველოს მთავრობა;

4.თვითმმართველი ერთეულიტესტი

38. რომელი ორგანოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და მათი განაკვეთების განსაზღვრა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში, საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით?

1.გამგეობა (მერია);

2.საკრებულო;

3.საქართველოს მთავრობა;

4.საქართველოს პარლამენტი

ტესტი 39. რომელი ორგანოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ავტოსატრანსპორტო გადაყვანის წესების, რეგულირებადი ტარიფების, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენა?

1.საქართველოს პარლამენტი;

2.საქართველოს მთავრობა;

3.საკრებულო;

4.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

ტესტი 40. რომელი ორგანოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცება?

1.საქართველოს მთავრობა;

2.საქართველოს პარლამენტი;

3.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი4.საკრებულო

ტესტი 41. რომელი ორგანოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით?

1. საკრებულო

2.საქართველოს სახალხო დამცველი;

3.საქართველოს პარლამენტი;

4.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

ტესტი 42. სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

1.ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;

2.თვითმმართველი ერთეულისა და დასახლებების შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესების დადგენა და თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაცია;

3.ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების წესის განსაზღვრა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დაცვა;

4.ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 43. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად ურთიერთმოსაზღვრე თვითმმართველ ერთეულებს კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელების მიზნით, უფლება აქვთ თუ არა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ხელშეკრულების საფუძველზე შექმნან საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველმყოფი ერთობლივი სამსახურები?

1.არ აქვთ უფლება

2.აქვთ უფლება საქართველოს მთავრობის თანხმობით

3.აქვთ უფლება საკრებულოს თანხმობით

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 44. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:

1.საკრებულო, გამგეობასთან შეთანხმებით;

2.საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე;

3.სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით;

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 45. მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

1. თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა;

2. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

3. ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია.

4. ყველა პასუხი სწორია.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი

ტესტი 1. დედაქალაქის ტერიტორიის რაიონების დასახელებებს, რაოდენობასა და საზღვრებს (ქ. თბილისის საზღვრებში) ადგენს

1. თბილისის მერი

2. თბილისის მერიის წარდგინებით საქართველოს მთავრობა

3. თბილისის მერის წარდგინებით თბილისის საკრებულო

4. საქართველოს პრეზიდენტი

ტესტი 2. ქ. თბილისის საკრებულო შედგება

1. ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან არჩეული 50 წევრისაგან

2. 50 წევრისაგან, რომელთაგან 40 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანიმაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიხედვით, ხოლო 10 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, 10 საარჩევნო ოლქის მიხედვით

3. 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანიმაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიხედვით, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე

4.პროპორციული წესით არჩეული 50 წევრისგან

ტესტი 3. ქალაქ თბილისის მერი არის

1. ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოს თავმჯდომარე

2. ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოს წევრი

3. ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი

4. ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს წევრი

ტესტი 4. ქ. თბილისის რაიონის გამგეობის დებულებას ამტკიცებს

1. ქ. თბილისის მერის წარდგინებით - ქ. თბილისის მთავრობა

2. რაიონის გამგებლის წარდგინებით - ქ. თბილისის მთავრობა

3. რაიონის გამგებლის წარდგინებით - ქ. თბილისის მერი

4. ქ თბილისი საკრებულო

ტესტი 5. ქ. თბილისის მერიის დებულებას ამტკიცებს

1. ქ. თბილისის მერის წარდგინებით - ქ. თბილისის მთავრობ

ა2. ქ. თბილისის მთავრობის წარდგინებით - ქ. თბილისის მერი

3. ქ. თბილისის მერის წარდგინებით - ქ. თბილისის საკრებულო

4. საქართველოს მთავრობის წარდგინებით - ქ თბილისის საკრებულო

ტესტი 6. ოფიციალური ურთიერთობებისას, ქ. თბილისს წარმოადგენს და მოქმედებს მისი სახელით:

1. საკრებულოს თავმჯდომარე

2. საკრებულოს გადაწყვეტილებით - საკრებულოს წევრი

3. ქ. თბილისის მერი

4. ქ. თბილისის მთავრობა

ტესტი 7. ქალაქ თბილისის მთავრობა შედგება

1. საკრებულოს წევრებისგან

2. მერის, მისი პირველი მოადგილისა (ვიცე-მერის) და მოადგილეების, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსისა და ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურების უფროსებისაგან, ქ. თბილისის რაიონების გამგებლებისგან

3. მერის, მისი პირველი მოადგილისა (ვიცე-მერის) და მოადგილეების, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსისა და ქ. თბილისის საქალაქო სამსახურების უფროსებისაგან, თბილისის მერიის სისტემაში შემავალი კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისგან

4.მერისა და მის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირებისგან

ტესტი 8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება:

1. საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება

2.საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა

3. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა

4. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და მათი ოდენობებისგანსაზღვრა

ტესტი 9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არაა ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინიტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

1. საკრებულოს გადაწყვეტილება

2. მერის ბრძანება

3. მთავრობის დადგენილება

4. საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის განკარგულება

ტესტი 10. სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას არ განეკუთვნება:

1. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია

2. მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია

3. ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება

4. განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქგანვითარების დაფინანსება

ტესტი 11. ქ. თბილისის მერიისა და მთავრობის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს

1. მერიის აპარატი

2. მერიის ადმინისტრაცია

3. ქ. თბილისის მთავრობის ადმინისტრაცია

4. საკრებულოს აპარატი

ტესტი 12. ქალაქ თბილისის მერი არის

1. ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოს თავმჯდომარე

2. ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოს წევრი

3. ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი

4. ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს წევრი

ტესტი 13. ქ. თბილისის საკრებულოს თბილისის ბიუჯეტს წარუდგენს

1. საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

2. ქ. თბილისის მთავრობის მიერ დანიშნული პირი

3. ქ. თბილისის მერი

4. საკრებულოს თავმჯდომარე

ტესტი 14. ქვემოთ ჩამოთვლილითაგან, თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება

1. საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება

2. საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა

3. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა

4. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და მათი ოდენობების განსაზღვრა

ტესტი 15.საკრებულოს თავმჯდომარე:

1. ხელმძღვანელობს საკრებულოს მუშაობას;

2. ორგანიზებას უწევს საკრებულოს სხდომების მომზადებას;

3. თავმჯდომარეობს საკრებულოს სხდომებს;

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 16.ქ. თბილისის მერად შეიძლება არჩეულ იქნეს

1. მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობსსაქართველოში

2.საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში

3. საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში

4. საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში

ტესტი 17. სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას არ განეკუთვნება:

1.ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია

3. მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია

4. განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქგანვითარების დაფინანსება

ტესტი 18. ქალაქ თბილისში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

1. ქალაქ თბილისში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფლება, კანონით დადგენილი წესით აირჩიონ წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა კანონით განსაზღვრულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტისას

3. საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 19. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით უფლება აქვთ თუ არა საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს ხელი შეუწყონ ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებაში ?

1.არ აქვთ უფლება;

2.აქვთ უფლება, მხოლოდ ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებით;

3.აქვთ უფლება;

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 20. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებს უთანხმებენ თუ არა ამ დაწესებულებებისადმი დაქვემდებარებული დარგების პროგრამათა იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის მიერ საქართველოს დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებასთან?

1. არ უთანხმებენ;

2. უთანხმებენ;

3. უთანხმებენ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;

4. არ უთანხმებენ, რადგან ეს საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების განსაკუთრებული უფლებამოსილებაა.

ტესტი 21. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მის გამგებლობაში არსებული ცალკეული ფუნქციების გადაცემა არის თუ არა დასაშვები?

1. არ არის დასაშვები

2. დასაშვებია, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში

3. დასაშვებია ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 22. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება:

1. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების კოორდინაცია

2. ბუნებათსარგებლობა, გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

3.კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების შედეგების ლიკვიდაცია

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 23. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ კომპეტენციას განეკუთვნება:

1. ურბანისტიკისა და მშენებლობის სტრატეგიული პროგრამების შემუშავება და განხილვა;

2. განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის საკითხების კოორდინაცია;

3. მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების საკითხების კოორდინაცია;

4ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 24. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, უფლებამოსილია თუ არა საკრებულო დედაქალაქის რაიონს ან უბანს მიანიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, განახორციელოს ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფა, მიანიჭოს სახელწოდებები, დაადგენოს და შეცვალოს მათი საზღვრები ?

1. არ არის უფლებამოსილი

2. უფლებამოსილია, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით

3. უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 25. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, უფლებამოსილია თუ არა საკრებულო დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში შექმნას ახალი რაიონები, გააერთიანოს, დაყოს, გააუქმოს, რაიონები, დაადგინოს მათი საზღვრები, შექმნას და გააუქმოს შესაბამისი რაიონების გამგეობების, დაყოს რაიონები სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად (უბანი, სექტორი, კვარტალი, მიკრორაიონი და ა. შ.)?

1.უფლებამოსილია, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით

2.უფლებამოსილია ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით

3.არ არის უფლებამოსილი

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 26. საკრებულოს თავმჯდომარე ჩაითვლება არჩეულად, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის:

1.2/3 –მა

2. ნახევარზე მეტმა

3. 1/3-მა

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 27. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით იღებენ თუ არა გასამრჯელოს საკრებულოს წევრები, რომლებიც არ არიან საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე, მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ?

1.იღებენ გასამრჯელოს

2.იღებენ გასამრჯელოს მხოლოდ საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის პერიოდში

3.იღებენ გასამრჯელოს, მხოლოდ საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოწყვეტის შემთხვევაში

4.არ იღებენ გასამრჯელოს

ტესტი 28. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დედაქალაქის მოსახლეობას შეადგენენ:

1. საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნების მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოვრობენ დედაქალაქში

2. საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოვრობენ დედაქალაქში

3. საქართველოს მოქალაქეები და უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოვრობენ დედაქალაქში

4. არცერთი პასუხი არ არის სწორიტესტი

29. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით საკრებულოს თავმჯდომარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს:

1. დადგენილებას

2. გადაწყვეტილებას

3. ბრძანებას

4. ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – განკარგულებასტესტი

30. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ქ.თბილისის მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს:

1. გადწყვეტილებებს;

2. დადგენილებებს;

3. ბრძანებებსა და განკარგულებებს;

4. ბრძანებულებებს.ტესტი

31. საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსს, საქალაქო სამსახურების უფროსებს და ქალაქ თბილისის რაიონების გამგებლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს:

1. საკრებულოს თავმჯდომარე

2. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი

3. ქ.თბილისის მერი

4. საკრებულოს ბიურო

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

ტესტი N 1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თუ განმეორებით წარდგენილ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი:

1. ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ;

2. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განუხილველად დატოვებს

3. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას განიხილავს და უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 2. დაშვებულია თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება?

1.დაშვებულია

2. დაუშვებელია

3. დაშვებულია,მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში

4.ნაწილობრივ დაშვებულია

ტესტი 3. აქვს თუ არა იურიდიული ძალა უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე უფლებამოსილების გადამეტებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას ?

1. აქვს იურიდიული ძალა

2. აქვს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში

3. არ აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს

4.არ აქვს იურიდიული ძალა და ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს

ტესტი 4.რომელი მსჯელობაა სწორი?

1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.

2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.

3. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 5. ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება თუ არა მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე?

1.შეიძლება, თუ მისი თანამდებობრივი მდგომარეობა ან სხვა გარემოება უშუალოდ დაკავშირებულია ადმნისტრაციულ წარმოებაში არსებულ საქმესთან

2.შეიძლება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში

3.არ შეიძლება

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 6. ჩაითვლება თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივ დახმარებად ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება ან/და ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული?

1.კი, ჩაითვლება;

2.კი, ჩაითვლება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3.არ ჩაითვლება;

4.ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 7. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს:

1.საქართველოს პარლამენტი;

2.საქართველოს სახალხო დამცველი;

3. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი;

4.საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო.

ტესტი 8. ვალდებულია თუ არა საჯარო დაწესებულება სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად?

1.არ არის ვალდებული;

2.ვალდებულია;

3. ვალდებულია, თუ საჯარო დაწესებულება წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია;

4.არ არის ვალდებული, იმ შემთხვევაშიც თუ საჯარო დაწესებულება წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია;

ტესტი 9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს:

1. ადმინისტრაციული ორგანო

2. ფიზიკური პირი

3. იურიდიული პირი

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 10. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვინ არისპასუხისმგებელი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის?

1. სახელმწიფო

2. მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო

3. ზიანის მიმყენებელი თანამდებობის პირი

4.ადმინისტრაციული ორგანო და ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო მოსამსახურე

ტესტი 11. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, გამოიწვევს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების ბათილობას?

1. არ გამოიწვევს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილადგამოცხადებით დამდგარ სამართლებრივ შედეგებს უკუქცევითი ძალა ვერ მიენიჭება

2. გამოიწვევს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება

3. არ გამოიწვევს, ვინაიდან ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ ამოქმედდა

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 12. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რომელი არ არის ადმინისტრაციულ წარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი?

1. იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია

2. იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია

3. იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია

4. იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის მეგობრის ნათესავია

ტესტი 13. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია თუ არა არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე?

1. ვალდებულია გაახმაუროს და მას არ სჭირდება თვით ამ პირის თანხმობა, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევვებში –სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

2.არ არის ვალდებული;

3. ვალდებულია გაახმაუროს თვით ამ პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

4.ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 14. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია თუ არა არ გაახმაუროს თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემები ამ პირთა თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე?

1.არ არის ვალდებული;

2.ვალდებულია გაახმაუროს და მას არ სჭირდება თვით ამ პირთა თანხმობა, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევვებში –სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

3.ვალდებულია გაახმაუროს მხოლოდ თვით ამ პირთა თანხმობისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში _ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 15. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირს აქვს თუ არა უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას ან/და არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის?

1.არ აქვს უფლება

2.აქვს უფლება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3.აქვს უფლება;

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 16. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა:

1.მხოლოდ წერილობით

2.მხოლოდ ზეპირად

3.ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმას გამომცემი ორგანო (თანამდებობის პირი) ათანხმების ზემდგომ ორგანოსთან (ტანამდებობის პირთან)

4.წერილობით ან ზეპირად

ტესტი 17. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვის აქვსინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლება?

1. მხოლოდ სასამართლოს

2. მხოლოდ საქართველოს პარლამენტს

3. მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივად აკისრია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მოვალეობა

4. მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომ ორგანოს

ტესტი 18. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს:

1.მხოლოდ სასამართლო;

2.საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

3.მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

4.საქართველოს პარლამენტი.

ტესტი 19. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს:

1.საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს

3.საქართველოს სახალხო დამცველს

4. მხოლოდ სასამართლოს

ტესტი 20. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას:

1.ძალაში შედის დაუყოვნებლივ

2.ძალაში შედის მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან (თანამდებობის პირთან) შეთანხმების შემდეგ

3. ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ

4. ძალაში შედის ხელმოწერიდან 5 დღის შემდეგ.

ტესტი 21.ადმინისტრაციული წარმოების მხარეები შეიძლება იყოს:

1.ადმინისტრაციული ორგანო

2.ფიზიკური პირი

3. იურიდიული პირი

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 22. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

1.თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში

2.საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია

3. საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 23. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის გაუმართავად განხილვისა და გადაწყვეტის უფლება:

1. აქვს ნებისმიერ შემთხვევაში

2. არა აქვს

3. აქვს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 24. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის:

1.საიდუმლო ინფორმაცია;

2.საჯარო ინფორმაცია;

3. ოფიციალური ინფორმაცია;

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 25. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადა, რადგან იგი არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა?

1. კანონიერია, ვინაიდან არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი საჩივარი არგანიხილება, თუ არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი

2. კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ

3. არ არის კანონიერი, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ ადმინისტრაციული საჩივარიარაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 26. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტსამზადებს:

1. ზოგადი ან ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში

2. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით

3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

4. მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით

ტესტი 27. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება:

1. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაზე

2. სამინისტროს საქმიანობაზე

3. საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 28. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რა არისაღმასრულებელი პრივილეგია?

1.საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან

2. სახელმწიფო ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემადასაბუთების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ

3. მოსამართლის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებადაუშვებელია

4. თანამდებობის პირის დისკრეციული უფლებამოსილება, დაუბრკოლებლად გაეცნოსგასაიდუმლოებულ ინფორმაციას

ტესტი 29. ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი განაცხადა, რადგან იგი არაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება?

1. კანონიერია, ვინაიდან არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი საჩივარი არგანიხილება, თუ არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი

2. არ არის კანონიერი, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ ადმინისტრაციული საჩივარიარაუფლებამოსილმა პირმა შეიტანა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება

3. კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 30. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს:

1.საქართველოს მთავრობა

2.საქართველოს პარლამენტი

3. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 31. ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

1.არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ

2. სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით

3. არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 32. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება შეჩერდება, თუ:

1. გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას;

2. წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

3. გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 33. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, შეიძლება თუ არა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად?

1.არ შეიძლება

2.შეიძლება მხოლოდ ზემდგომ ადმინიტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებით;

3.შეიძლება, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 34. ადმინსტრაციული ორგანო უფლებამოსილია თუ არა განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი და/ან ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად?

1.არ არის უფლებამოსილი

2. უფლებამოსილია

3.უფლებამოსილია, მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებით

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 35. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს:

1.ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს

2.ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს

3. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 36. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია:

1.თანამდებობის პირი ან სხვა მოსამსახურე

2. სახელმწიფო

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი N 37. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს დისკრეციული ვალდებულება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება

4. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული ვალდებულება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება

ტესტი N 38. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

1. მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება

2. შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს

3. მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 39. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს:

1. 10 დღისა

2. 15 დღისა

3. 20 დღისა

4. 30 დღისა

ტესტი N 40. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს:

1. დაუყოვნებლივ

2. არაუგვიანეს 5 დღისა

3. არაუგვიანეს 10 დღისა

4. არაუგვიანეს 20 დღისა

ტესტი N 41. რომელი მსჯელობაა სწორი?

1. სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით

2. სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით

3. სასამართლოს საკუთარი ინიციატივით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 42. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის:

1. მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს

2. გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ

3. ამ ადმინისტრაციულ აქტზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის შემდეგ

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 43. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

1. გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ

2. მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო

3. მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 44. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის უფლება აქვს:

1. მის გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს

2. საჩივრის შემთხვევაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს

3. სარჩელის შემთხვევაში სასამართლოს

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი N 45. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს

1. მის გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს

2. მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს

3. მხოლოდ სასამართლოს

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი N 46. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს:

1. მის გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს

2. მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს

3. მის გამომცემ ორგანოს და სასამართლოს.

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი N 47. რომელი მსჯელობაა სწორი ?

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს

2. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 3 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს

3. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 7 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს

4. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 2 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს

ტესტი N 48. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 5 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა

4. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 10 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა

ტესტი N 49. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ვინაიდან მოქალაქე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ოფიციალურად გაეცნო 30 იანვარს, ხოლო ადმინისტრაციული საჩივარი მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით შეიტანა პირველ მარტს:

1. არაა სწორი, ვინაიდან გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 31 იანვარს და ერთი თვე გავიდა 1 მარტს

2. არაა სწორი, ვინაიდან გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 31 იანვარს, კანონმდებლობით დადგენილი ვადა _ ერთი თვე დასრულდებოდა 31 თებერვალს ვინაიდან თებერვლის თვეს რიცხვი 31 არ აქვს ვადა დასრულებულად ჩაითვლება, მომდევნო თვის პირველ რიცხვში - 1 მარტს

3. სწორია, ვინაიდან თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 50. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება აქვს:

1. დაინტერესებულ მხარეს

2. ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს

3. მხოლოდ ფიზიკურ პირს

4. მხოლოდ იურიდიულ პირს

ტესტი N 51. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან

1. ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

2. ერთი თვის ვადაში

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ან უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 52. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

1. არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ

2. სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით

3. არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი N 53. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანიდან

1. ერთი თვის ვადაში

2. ორი თვის ვადაში

3. სამი თვის ვადაში

4. არცერთი პასუხი არაა სწორი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი

ტესტი 1. საჯარო სამსახური არის:

1. საქმიანობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოში

2.საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში

3. საქმიანობა სააქციო საზოგადოებაში

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს წარმოადგენს:

1. საქართველოს მინისტრის მოადგილე

2.საქართველოს სახალხო დამცველი

3.საქართველოს პარლამენტის წევრი

4. ყველა პასუხი სწორიატესტი

3. "საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

1.საქართველოს სამინისტრო

2.აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები

3.სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია

4.მუნიციპალიტეტი.

ტესტი 4. საჯარო მოსამსახურე არის:

1. პირი, რომელიც ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სააქციო საზოგადოებაში

2. პირი, რომელიც საჯარო სამსახურის შესახებ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში

3. პირი რომელიც ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 5. რომელ მოსამსახურეებზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი ?

1. მოსამართლეები

2. პროკურორები

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 6. ვრცელდება თუ არა საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე?

1. არ ვრცელდება

2. ვრცელდება

3.ვრცელდება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 7. საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებული იქნეს პირი თუ იგი:

1. ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა

2.იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში

3. სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 8. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე დანიშვნა ფორმდება:

1. ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით

2. გადაწყვეტილებით

3. ბრძანებულებით

4. ყველა პასუხი სწორიატესტი

9. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

1. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები

2.აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები

3. მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები, მრჩევლები

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 10. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს

1.თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს

2. მხოლოდ თანამდებობრივ სარგოს

3. მხოლოდ პრემიას

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 11. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება თუ არა მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი)?

1. უნარჩუნდება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში

2. არ უნარჩუნდება

3. უნარჩუნდება

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 12. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე არა უმეტეს:

1.2 წლისა

2.1 წლისა

3.3 წლისა

4.6 თვისა

ტესტი 13. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეიძლება თუ არა განკარგულებების გაცემა თუ იგი სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს?

1. შეიძლება

2. შეიძლება, მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

3. არ შეიძლება

4. არცერთი პასუხი არ არის სწორიტესტი

14. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეიძლება თუ არა მოსამსახურე იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი?

1.შეიძლება, მხოლოდ გარკვეული ვადით

2.არ შეიძლება

3.შეიძლება ,მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 15. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად აქვს თუ არა უფლება მოხელეს საწარმოში ფლობდეს აქციებს და წილს?

1. აქვს უფლება

2. აქვს უფლება, მხოლოდ გარკვეული ვადით

3. არ აქვს უფლება

4. აქვს უფლება, მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

ტესტი 16. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხელეს აქვს თუ არა სამეწარმეო საქმიანობის უფლება

1. აქვს უფლება

2. აქვს უფლება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3. არ აქვს უფლება

4. არცერთი პასუხი არ არის სწორიტესტი

17. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად დასაშვებია თუ არა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება?

1.არ არის დასაშვები

2. დასაშვებია, მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

3. დასაშვებია, მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 18. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად აკრძალულია თუ არა საჯარო მოსამსახურემ დადოს გარიგება თავისი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთან, პარტიასთან ან სხვა დაწესებულებასთან?

1. არ არის აკრძალული

2. აკრძალულია

3. არ არის აკრძალული, მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

4. არცერთი პასუხი არ არის სწორიტესტი

19. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აკრძალულია თუ არა საჯარო მოსამსახურემ დადოს ქონებრივი გარიგება საკუთარ მეუღლესთან, საკუთარ ან მეუღლის ბებიასთან, ბაბუასთან, მშობელთან, ძმასთან, დასთან, შვილთან ან შვილიშვილთან?

1.აკრძალულია

2.არ არის აკრძალული

3.არ არის აკრძალული, მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 20. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწესებულების შინაგანაწესით განისაზღვრება:

1. სამუშაო დროს დასაწყისი და დასასრული

2. დღის განმავლობაში შესვენების დრო

3. დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 21. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება თუ არა ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე?

1. არ ეკრძალება

2. ეკრძალება

3. არ ეკრძალება, მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში

4. არ ეკრძალება, მხოლოდ ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით

ტესტი 22. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის წესდება წახალისების შემდეგი ფორმები:

1.მადლობის გამოცხადება

2.ერთდროული ფულადი ჯილდო

3.ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 23. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად ერთდროული ფულადი ჯილდოთი, ფასიანი საჩუქრით ან თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლებით მოსამსახურის წახალისება შეუძლია:

1. მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირს ან დაწესებულებას

2. მხოლოდ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირს

3. მხოლოდ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირის ზემდგომ თანამდებობის პირს ან მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე დაწესებულების ზემდგომ დაწესებულებას

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 24. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენება შეუძლია:

1.მის უშუალო ხელმძღვანელ თანამდებობის პირს, ან დაწესებულებას

2.მხოლოდ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირს

3.მხოლოდ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე თანამდებობის პირის ზემდგომ თანამდებობის პირს ან მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე დაწესებულების ზემდგომ დაწესებულებას

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 25. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს:

1. სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

2. დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა

3. ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტიციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 26. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ რომელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება გამოიყენოს?

1.შენიშვნა

2. გაფრთხილება

3. არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 27. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხელისათვის, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა მოსამსახურემ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნის უფლება აქვს:

1.დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას

2.მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდები თანამდებობის პირის ზემდგომ თანამდებობის პირს

3.მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდები დაწესებულების ზემდგომ დაწესებულებას

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 28. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად თუ მოხელეს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება თუ არა დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ?

1.ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ

2.არ ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ

3.ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ, მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდები თანამდებობის პირის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდები დაწესებულების ზემდგომ დაწესებულების თანხმობის შემთხვევაში

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 29. ატესტირებას არ ექვემდებარება:

1. მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს ან ირჩევს შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

2. მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები

3. მოხელე, რომელიც სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით

4. ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 30. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება:

1. შვებულების დროს

2. მოხელის კანდიდატად წამოყენებისას საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი

3. სამხედრო სამსახურში გაწვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება

4. ყველა პასუხი სწორია

ტესტი 31. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს:

1.იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს

2.მხოლოდ იმ პირის ზემდგომმა პირმა, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს

3.მხოლოდ იმ დაწესებულების ზემდგომმა დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 32. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1.მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ ოთხი თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე ექვსი თვის გამოუცხადებლობის გამო

2.მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ ორი თვის, ან კალენდარული წლის მანძილზე ოთხი თვის გამოუცხადებლობის გამო

3.მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო სამსახურში ზედიზედ ერთი, ან კალენდარული წლის მანძილზე სამი თვის გამოუცხადებლობის გამო

4.არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 33. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურის სტაჟი შეწყდება:

1.პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას

2.დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

3.საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას

4. ყველა პასუხი სწორიატესტი

34. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ორი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება

2. მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება

3. მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება

4. არცერთი პასუხი არ არის სწორიტესტი

35. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკას სამსახურის სფეროში განსაზღვრავს:

1. საქართველოს მთავრობა

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

3. საქართველოს პარლამენტი

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 36.მოხელე სამსახურში მიიღება:

1. დანიშვნით ან არჩევით

2. დანიშვნით ან დამტკიცებით

3. დამტკიცებით ან არჩევით

4. მხოლოდ დანიშვნით

ტესტი 37. მოხელეს შეუძლია იმავე დაწესებულებაში შეასრულოს არმყოფი მოხელის მოვალეობა არაუმეტეს:

1. 1 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში

2. 3 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში

3. 6 თვისა კალენდარული წლის განმავლობაში

4. 1 წლისა

ტესტი 38. 'საჯარო სამსახურის შესახებ' საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო მოსამსახურედ ჩაითვლება:

1. მოხელე

2.შტატგარეშე მოსამსახურე

3.დამხმარე მოსამსახურე

4.ყველა პასუხი სწორია

ტესტი 39. შტატგარეშე მოსამსახურე სამსახურში მიიღება:

1.მხოლოდ დანიშვნის გზით

2.მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით

3.დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით

4.ამ შემთხვევაში სამსახურში მიღებაზე არანაირი დოკუმენტი არ დგება

ტესტი 40. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს:

1.მერი

2.მთავრობა

3.საკრებულო

4.შესაბამისი სამსახური ან გამგეობა

ტესტი 41. „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის შესაბამისად მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

1.კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით მისთვის სხვა სამსახურეობრივი დავალების დაკისრება

2.მოხელის დროებითი შრომისუუნარობა

3.სამხედრო სამსახურში გაწვევა

4.არადამაკმაყოფილებელი პროფესიული უნარჩვევები

ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს სისტემის - ქ. თბილისის მერიის მიერ, გამოცხადებულ კონკურსში ყველა ვაკანტური თანამდებობის კონკურსანტისთვის სავალდებულო საკითხების სწორი პასუხები ტესტური გამოცდისთვის

საკანონმდებლო აქტების დასახელება	საქართველოს კონსტიტუცია		„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი		„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი		„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი		„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“	
	ტესტის N	პასუხის N	ტესტის N	პასუხის N	ტესტის N	პასუხის N	ტესტის N	პასუხის N	ტესტის N	პასუხის N
	1	1	1	4	1	3	1	2	1	1
	2	1	2	3	2	3	2	3	2	2
	3	2	3	4	3	3	3	4	3	3
	4	1	4	2	4	3	4	2	4	2
	5	4	5	3	5	3	5	4	5	3
	6	2	6	2	6	3	6	3	6	3
	7	4	7	3	7	2	7	4	7	4
	8	1	8	1	8	4	8	1	8	3
	9	4	9	3	9	4	9	4	9	4
	10	1	10	4	10	3	10	1	10	1
	11	1	11	1	11	2	11	3	11	2
	12	2	12	3	12	3	12	2	12	4
	13	3	13	4	13	3	13	3	13	3
	14	4	14	4	14	4	14	2	14	2
	15	4	15	2	15	4	15	1	15	3
	16	1	16	1	16	2	16	3	16	4
	17	1	17	2	17	1	17	3	17	3
	18	4	18	4	18	4	18	2	18	3
	19	4	19	3	19	3	19	1	19	2
	20	3	20	4	20	2	20	4	20	3
	21	3	21	1	21	3	21	2	21	4
	22	2	22	3	22	4	22	4	22	4
	23		23	3	23	4	23	1	23	3
	24	2	24	2	24	3	24	1	24	2

	25	4	25	1	25	2	25	4	25	2
	26	3	26	4	26	2	26	4	26	4
	27	2	27	3	27	4	27	1	27	1
	28	3	28	3	28	1	28	1	28	1
	29	4	29	2	29	4	29	4	29	3
	30	4	30	4	30	3	30	4	30	3
			31	4	31	3	31	1	31	4
			32	4			32	1	32	4
			33	2			33	4	33	3
			34	1			34	2	34	2
			35	3			35	3	35	2
			36	2			36	1	36	3
			37	4			37	1	37	1
			38	2			38	4	38	4
			39	3			39	3	39	1
			40	4			40	3	40	1
			41	1			41	4	41	2
			42	4					42	1
			43	3					43	4
			44	2					44	4
			45	4					45	1
									46	1
									47	1
									48	1
									49	3
									50	1
									51	1
									52	4
									53	1